ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2968868

ნომერი: AR1457474

თარიღი : 24.11.2016

გაცემის თარიღი : 08.12.2016

გაცნობის თარიღი : 08.12.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , საგზაო უბნის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , რაიონი გლდანი , მიკრო/რაიონი 1 , კარტოგრაფიული ფაბრიკის მიმდებარედ, (ნაკვეთი N15/82) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- იუზა ოქროპილაშვილი პ/ნ 60003010581
- შარტავა #14 ა

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 07/04/2016 წლის №2527305 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 24/11/2016 წლის №AR1457474 განცხადებით მომართა იუზა ოქროპილაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 07/04/2016 წლის №2527305 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ სამსახურის 26/06/2012 წლის №231541 გადაწყვეტილებით ქალაქ თბილისი, რაიონი გლდანი, მიკრო/რაიონი 1, კარტოგრაფიული ფაბრიკის მიმდებარედ, (ნაკვეთი 15/82) არსებული №01.11.12.015.082 საკადასტრო ერთეულისთვის (მიწის ნაკვეთის ფართობი: 1235 კვ.მ) მსუბუქი კონსტრუქციის ღია დახლების (ბაზარი და მისი შესაბამისი ინფრასტრუქტურა) განთავსებისთვის დადგინდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. ამავე სამსახურის 07/04/2016 წლის №2527305 ბრძანებით ცვლილება შევიდა 26/06/2012 წლის №231541 გადაწყვეტილებით დადგენილ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: საპროექტო ობიექტად დაფიქსირდა მსუბუქი კონსტრუქციის სავაჭრო პავილიონი. ასევე, 26/06/2012 წლის №231541 გადაწყვეტილებით დადგენილ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატა ახალი საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო ერთეული №01.11.12.015.181 ფართობი – 2035 კვ.მ, რეგისტრაციის №882016077218, მომზადების თარიღი 16.02.2016 წ.) და მიწის ნაკვეთის ფართობად მიეთითა -2035 კვ.მ., საკადასტრო კოდად დაფიქსირდა -№01.11.12.015.181; სამსახურის 07/04/2016 წლის №2527305 ბრძანებით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში განხორციელებული ცვლილების საფუძველზე და მის შესაბამისად არ მომხდარა არქიტექტურული პროექტის შეთანხმება / შეთანხმებული პროექტის ცვლილება და მშენებლობის ნებართვის გაცემა.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია - №882016077218; მომზადების თარიღი: 16/02/2016 15:16:54) თანახმად, ქალაქი თბილისი, საგზაო უბნის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი, რაიონი გლდანი, მიკრო / რაიონი 1, კარტოგრაფიული ფაბრიკის მიმდებარედ, (ნაკვეთი N15/82) არსებული - №01.11.12.015.181 საკადასტრო ერთეულის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ამიგო.“ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით (განაცხ. №B14092518, მომზ. თარიღ: 19/09/2014 09:13:22) შპს „ამიგოს“ ხელმძღვანელობა / წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს იუზა ოქროპილაშვილი.
დღეისათვის, წარმოდგენილი განაცხადით, მესაკუთრე ითხოვს სამსახურის 07/04/2016 წლის №2527305 ბრძანების, რომლითაც ცვლილება შევიდა 26/06/2012 წლის №231541 გადაწყვეტილებით დადგენილ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, ძალადაკარგულად გამოცხადებას, ვინაიდან, აღარ აქვს აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა” პუნქტის თანახმად, ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლში განსაზღვრული საფუძვლების გარდა, შეიძლება იყოს ნებართვის მფლობელის მოთხოვნა.
ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს აღარ აქვს სამსახურის მიერ გაცემული ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის საფუძველზე, საპროექტო ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა” პუნქტის თანახმად,

ვბრძანებ:
1. დაკმაყოფილდეს განმცხადებლის: შპს „ამიგოს“ წარმომადგენლის იუზა ოქროპილაშვილის 24/11/2016 წლის №AR1457474 განაცხადი.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 07/04/2016 წლის №2527305 ბრძანება, რომლითაც ცვლილება შევიდა 26/06/2012 წლის №231541 გადაწყვეტილებით დადგენილ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.